№ 179 მარიამობისთვე 23, ოთხშაბათი 1889 მარიამობისთვე 23, ოთხშაბათი № 179

ფასი გაზეთისა

| თვეზე | მან. | კ. | თვეზე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაბეჭდად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ქუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 სალიტერატურო და საპოლიტიკო გაზეთი 1877—1889

## სასწავლებელი და პანსიონი

### ი. რ. მრევლიშვილისა

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულ სახლებში, № 21.

ამზადებს ბავშვებს ყველა საშუალო სასწავლებლებში მისაღებად.

სკოლის სადგომის შეკეთების გამო ბავშვები 2 სექტემბრამდე მიიღებიან დროებითს სადგურში, მეტეხოვის სახლებში, რომელიც იქვე ახლოს „ხიდის“ ქუჩაზედ (Мостовая улица) იმყოფება.

პარაკლისი და დაწყება სწავლისა 4-ს სექტემბერს იქნება. (15—3)

## კანტორა

### ნოტარიუს ამიროვისა

იმყოფება განოვის ქუჩაზე, სახლი № 6, ტფილისის პოლიციის სამმართველოს გვერდით, ნოტარიუსის მამიკონოვის პირდაპირ. კანტორამ მოქმედება დაიწყო აგვისტოს 21-დგან. (3—2)

## რედაქციისაგან

„ივერიის“ რედაქცია გადავიდა კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, იქ, სადაც წინად მომრიგებელ-სასამართლოს მესამე განყოფილება იმყოფებოდა და ამ ჟამად ბ-ნ მრევლიშვილის პანსიონი იმყოფება.

## სასწავლებელი,

რომელიც მთავრობის ნება-დართვით გავხსენი ქ. ქუთაისში, ტფილისის ქუჩაზე, მაჭავარიანის სახლში, ამზადებს ბავშვებს გიმნაზიისა, პროგიმნაზიისა და სხვა სასწავლებლებისათვის. თთვიური გარდასახადი არის ექვსი მანეთი. ბავშვებს მივიღებთ უეგზამენოდ ოც სექტემბრამდე.

სასწავლებელთან არის პანსიონი, სადაც შეუძლიანთ იქონიონ ბინა და სწავლაში დახმარება, როგორც ამ სასწავლებლის მოსწავლეთ, აგრეთვე გიმნაზიისა და პროგიმნაზიის მოსწავლეთაც. წლიური გადასახადი თითოეულ პანსიონერზე იქნება 250 მან.

სასწავლებელთანვე იქნება სარეპეტიციო კლასები საღამოობით, როგორც პანსიონერებისათვის, აგრეთვე იმ ყმაწვილებისათვის, რომლებიც გიმნაზიაში და პროგიმნაზიაში არიან, სუსტად სწავლობენ და დახმარება ეჭირვებათ.

სასწავლებლის მმართველი
ს. ბ. ჯორჯიკია

19 აგვისტოს 1889 წ. (5—1)

## ახალი ამბავი

*** მღვდელ-მონაზონ კალისტრატეს აღმოუჩენია ერთი ქართული ხელთ-ნაწერი, ამ ორმოცდა-ოთხის წლის წინად დაწერილი. ხელთ-ნაწერს შემდეგი სათაური აქვს: «ქვეყნიერი სამოთხე». ამ ხელთ-ნაწერში იპოვება იმ დროის თელავის ეკკლესიათა, ზღუდე-გოდოლთა და სამეფო პალატის აღწერა. ეს ხელთ-ნაწერი დაუწერია არხიმანდრიტს ტარასის, გვარად ალექსი-მესხიშვილს, და ზედ აზის თარიღი 1844 წ. 15 მაისი. კარგი იქნება ეს ხელთ-ნაწერი მ. კალისტრატემ «წერა-კითხვის საზოგადოებას» მიაწოდოს.

*** სოფ. ქვიშხეთი: ამას წინად აზნაური ზაზა ყიფიანი დასჭრა მძიმედ იმისავე ხიზანმა. ყიფიანი იმ გვარად იყო დაჭრილი, რომ ექიმებმა წამლობაზე ხელი აიღეს. ბედის საცდელად დაჭრილის ნათესავებმა სურამიდგან დაიბარეს მაქსიმე თურმანიძის შვილი. თურმანიძემ გასინჯა ავადმყოფი, წამალი მისცა და ერთის კვირის განმავლობაში მოახედა სულთმობრძავი სნეული. სამწუხარო ის არის, რომ როცა ექიმები ხელ-ახლად მიიწვიეს და სთხოვეს სიცხის გამოსანელებელი წამალი, იმათ იუცხოვეს და ავადმყოფს არ მიჰხედეს.

*** სოფ. მეჯვრისხევი: სკოლის მასწავლებელი ბ-ნი თ. კანდელაკი გვთხოვს დავბეჭდოთ შემდეგი წერილი: «ბ-ნ ი. ხახუტაშვილისაგან მივიღე ჩემდამო რწმუნებულის სკოლის სასარგებლოდ სახალხო წიგნების მოყვარეთაგან გამოცემული წიგნი: „დედამიწის მოყვანილობა“ ათი ცალი და ამიტომ მადლობას ვუძღვნი ამ წიგნის გამომცემლებს.

*** სოფ. ქვიშხეთი: ჩვენში დღესასწაული დღე იშვიათად ჩაივლის ხოლმე ისე, რომ რაიმე უწესოება არ მოხდეს. ამას წინად ჩვენის სოფლის სიახლოვეს ძლიერ დიდი ჩხუბი მოხდა. ამ ჩხუბში რამდენიმე კაცი დასჭრეს და რამდენსამე თავი დაულეწეს კეტებით. ჩხუბში მონაწილეობას იღებდნენ გლეხები, რომლებიც დიდის ვაი-ვაგლახით დაამშვიდეს. მეტად დაშავდა ერთი მასწავლებელი, რომელიც მოჩხუბრებს აშველებდა: საბრალო კაცს თავ-პირი დაამტვრიეს. ერთი მოხუცებული დედაკაცი გაილახა, რომელიც შვილს ეშველებოდა და ეუბნებოდა: შვილო, ჩხუბს მოშორდიო.

*** დ. სურამი: არჩევანი მოსამართლეებისა 13-ს ამა აგვისტოს ვერ შესდგა და ამიტომ, მეტი ღონე არ იყო, არჩევანი 18 აგვისტოსთვის გადასდეს. ამ დღეს შეიკრიბა სურამის სოფლის სამმართველოს წინვე 218 კაცი, ხალხმა ერთ-ხმად ამოირჩია მამასახლისად გრიგორ ტერ-ზახაროვი და კანდიდატად ფარჩა ფასუევი. ეს არჩევანი ბ-ნმა პოლიციის მოხელემ არ შეიწყნარა და გამოუცხადა საზოგადოებას, რომ კანონის ძალით კენჭი პირველად ძველ მამასახლისს უნდა ჩამოუტაროთ და შემდეგ სხვებ-

## ფელეტონი

### ფშავეთი და ფშაველები

(რელიგიურნი რწმენანი ფშაველებისა და იმათი ხატები).

(შემდეგი *)

ხატები ანუ «ღვთის-შვილნი», ფშაველის აზრით, გამოეცხადებიან ხოლმე ადამიანს როგორც ცხადლივ, ისე სიზმარში. იმათა აქვსთ ისეთი ძალა, რომ სრულიად უხილავად მოევლინებიან ადამიანს, მაგალითად, მკითხავსა, ხევის-ბერსა და სხვა რომელსამე „მოწმინდარსა“ და მოამოქმედებინებენ ისეთს საქმეს, რომელსაც „მოწმინდარი“, თუ თავის ნებაზე იქნებოდა, არა შემთხვევაში არ მოიმოქმედებდა. მაგალითად, გულს შეუღონებს, ქადაგად დაცემის დროს თავში და გულში ქვას ახლეინებს, ნაკვერჩხალს აალებინებს, ათქმევინებს ისეთს რასმე წინასწარმეტყველურად, ზეგარდმო შთაგონებით, რის თქმაც არ შეეძლო. ხატის ზეგარდმო შთაგონებით ნაწინასწარმეტყველები, ფშაველის აზრით, იშვიათად გამტყუნდება. ყოველ გვარს უბედურებას და არა სასიამოვნო და საზიანო მოვლენას ხატი ხალხს ატყობინებს მკითხავის ან «უბრალო (არა-მკითხავის) მოწმინდარის» კაცის ზეგარდმო შთაგონებით.

ხატი კაცს პირად დაენახვება, გამოეცხადება ანთებულ სანთლის ან ცა[illegible]იელ ნათლის სახით, ხოლო სიზმარში მოხუცებულ თეთრ-წვერიან კაცის სახით. ხატი კაცს ხშირად სიზმარში გამოცხადების დროსაც ატყობინებს თავის სურვილსა. ამ შემთხვევაში სიზმრის მნახველი სჯერდება თავის სიზმარს, მოიქცევა ხატის გამხილების თანახმად და მკითხავს აღარ მიჰმართავს. მკითხავიც ხშირად თავის მუშტარს სამკითხაო „რიგ-წესის აუსრულებლად“ ისტუმრებს, რადგანაც მკითხვინებელის თხოვნას უმისოდაც ასრულებს. იგი ეუბნება ფშაველს, რომ მე დიდი ხანია შენი სალოცავი სიზმარში გამომეცხადა და შემატყობინა რასაც ვალადა გდებს და რაც მწუხარება მოგველინა შენაო. მკითხავი თუმცა სტყუის, მაგრამ ხალხის უმრავლესობას ტყუილი არა ჰგონია ესა. თვით ხალხის ფანტაზია სიზმარაობას და ხატის სიზმარში გამოცხადებას იქამდე აზვიადებს, რომ თითონ უმკითხაოდაცკი ჰხედავს ხატს სიზმარში...

მკითხავს შეუძლიან, როცა მოისურვებს, თითონაც გამოიწვიოს ხატი, რათა იმან იმისის (მკითხავის) პირით აცნობოს მკითხავის მუშტარს რის გაგებასაც ისა სთხოვს ხატს. ხატის გამოსაწვევად საჭიროა წყლიან ჯამზედ მკითხავმა რამდენიმე სანთელი მოანთოს, შეევედროს ხატსა, რათა იგი მოევლინოს იმას და გამოაცხადებინოს თავისი სურვილი და მიზეზი, რის გამოც იგი გარისხებულა მაკითხვინებლებზედ, ანუ იმის ოჯახის წევრზედ. ხატის მოწოდებამდე მკითხავი სახლს დაავგვევინებს, რადგანაც ხატი უსუფთაო და დაუგველ სახლში მიბძანებას არ იკადრებს, შემდეგ მკითხავი მიკეტილი დაჯდება, წინ წყლიანს ჯამს დაიდგამს, ხელში უჭერია ამ შემთხვევისთვის წინად მომზადებული სანთლები, შემდეგ სანთლების ანთებას დაიწყებს და თან ევედრება ხატს, რომ ხორციელთ ვედრება არ გაიუკმაროს, მოევლინოს იმას და ათქმევინოს ყველა ნამდვილი რაც იმას აწყენინეს და სხ... გაათავებს თუ არა სანთლების ანთებას, ხატის მომწოდებელი მკითხავი დაჯდება ჩუმად, შემდეგ რამდენჯერმე დაამთქნარებს და გაიზმორება. ეს ფშაველის აზრით, პირველი ნიშანია ხატის მობძანებისა. თუ ამ დრომდე მკითხავის მუშტარი და სხვა მახლობლად მყოფნი ისხდნენ, ზეზედ ადგებიან, რა-კი ხატის მობძანების უეჭველს ნიშნებს დაინახავენ, უყურებენ მკითხავს მოწიწებით და თან პირჯვრის წერას მოაყოლებენ. მკითხავი თვალებსა ჰხუჭავს, გაბუტულივით ზის და სცდილობს აჩვენოს, რომ ის არაფრით ქვეყნიურით შეპყრობილი და გართობილი არ არის, რამდენჯერმე შეაკანკალებს დრო-გამოშვებით და მერე მოაყოლებს ჯერ დაბალის და მერე მაღალის ხმით გმინვას, ტირილყვირილსა, კანკალს და თან წამოძახებს ხოლმე რაღაც გაურჩეველს ნაწყვეტ-ნაწყვეტ ფრაზებს. ფშაველის აზრით, მკითხავს ამ დროს ხატი აკანკალებს, ალაპარაკებს და აყვირებს. ყვირილი გაგრძელდება 15—20 წამამდე. შემდეგ დამშვიდდება, თავს ძალიან დაღლილ-დაქანცულად აჩვენებს სხვებს, სანთლებს გააქრობს, წყალს სუფთა უხვედრ ადგილში დაალვრევინებს, დაჯდება სხვა ადგილში და გამოუცხადებს მკითხვინებელს, რომელი ხატი «მობძანდა», რა დანაშაულზე გარისხებულა იგი თავის ყმაზედ და რით შეუძლიან გამოისყიდოს დანაშავემ თავისი დანაშაული და ან რა მსხვერპლსა თხოულობს ხატი.

როდესაც ფშაველს რაიმე უბედურება მოელის, „ეხედვება“ და თვით იმან-კი იმის შესახებ არა იცის-რა, მაშინ, ფშაველის აზრით, საჭირო არც-კია ხატის განგებ გამოწვევა, იგი თითონ მოევლინება „მოწმინდარ“ ფშაველს და იმისის პირით აცნობებს მომავალს უბედურებას წინათვე. ძველ დროში ფშაველის ლაშქარი ლაშარის ჯვარის დაუკითხავად ქისტეთში საომრად არ წავიდოდა, მაგრამ მანამდე ფშაველები ლაშქრობის წინათ ხატს (ლაშარის ჯვარს) საერთოდ „გაიკითხავდნენ ლაშარის გორზე, ხატი ხშირად სხვა რომელისამე სალოცავ ქადაგის (იგივე მკითხავი) პირით უწინასწარმეტყველებდა ხოლმე გამარჯვებას, ანუ დამარცხებას, მაგრამ ხალხს უფრო საერთოდ გაკითხულის ხატის „ნაბძანები“ სჯეროდა და იმის მიხედვით მოიქცეოდა ხოლმე. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგანაც ფშაველის ლაშქრის მეჯარეელად და წინამძღვრად ითვლებოდა ლაშარის ჯვარი, ხალხიც იმის ნაბძანებს უფრო ყურადღებით ეპყრობოდა და იჯერებდა. ფშაველები ლაშარის ჯვარის სახელზედა ომობდნენ, იმათი გამარჯვება ლაშარის ჯვრის გამარჯვება იყო და დამარცხება.—ლაშარის ჯვრის დამარცხება.

ფშაველების ზეპირ-თქმულება რამდენსამე შემთხვევას მოგვითხრობს ხატის გამოცხადების შესახებ. როგორც ზეპირ არის ნათქვამი, ფშავლებს ჩვეულებადა ჰქონდათ (დაღესტნის დაპყრობამდე) ქისტებზედ გალაშქრება ლაშარის ჯვარის ბძანებით. ერთხელ, როდესაც ლაშქარი მიდიოდა ქისტეთს (მითხოში) ს. ბაზღეთის ასაკლებად, გზაში დაუღამდათ, მაგრამ ჯარმა მაინც გზის უვარგისობას არ მიჰხედა და გადასწყვიტა ღამეც ევლო, არ გაჩერებულიყო, რომ გათენებისთვის ბაზღეთამდე მიეღწია. გზა ცუდი უნდა გაევლოთ და გასულიყვნენ მდ. არღუნის ხიდზედ, რადგანაც თვით მდინარეში, სიღრმისა და სიჩქარის გამო, გასვლა შეუძლებელი იყო. გზაში ლაშარის ჯვარის დროშა, ფშაველების თქმით, ცეცხლის ნაპერწკალსა შლიდა და ზედ რამდენჯერმე ცეცხლის ალის მსგავსად შეკუმშული ნათელი გამოჩნდა. ხევის-ბერს ეს არა-ჩვეულებრივი სანახავი გამარჯვების ნიშნად მიუღია და ხალხი გაუმხნევებია: ხატი გვეცხადება, გამარჯვების ნიშანიაო. ზოგიერთებს, მეტადრე ვინც ქისტებთან ომში წინათაც ნამყოფი ყოფილა, ხევის-ბერის სიტყვა არ ურწმენიათ და უთქვამთ, წინათაც გაგვიმარჯვნია ქისტებზედ, მაგრამ ამ ნაირი სანახავი არ გვინახავს, იგი უფრო „მარცხის“ მომასწავებელია, ვიდრე „გამარჯვებისაო“. ურჩევიათ ღამე ბაზღეთის ხიდს ნუ მივუახლოვდებით, თორემ ვაითუ ქისტებს ჩვენი მისვლა შეტყობილი ჰქონდეთ, ხიდი დაენგრიოთ და იმის ახლო-მახლო „მალული“ ჩაგვისვესო. თუ ხატი გვეცხადება, უეჭველად იმ მიზეზით, რომ ეს ასეაო. უმრავლესობა მაინც ხევის-ბერს მიმხრობია და გადაუწყვეტიათ ხიდზე პირდაპირ მისვლა, მაგრამ ეს ურჩობა და ხევის-ბერის წინასწარმეტყველება ფშაველებს ძალიან ძვირად დასჯდომიათ. საბაზღეთო

*) იხ. „ივერია“ № 138, 139, 140, 177 და 178.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სათ. ხალხმა ერთ-ხმად გამოაცხადა: ჩვენ ძველს მამასახლისს კენჭს არ მივცემთ და გავაშავებთ, იმიტომ-რომ სრული სამი წელიწადია ანგარიშსა ვთხოვთ და არ გვაძლევსო. ეს ამოდენა შემოსავალი სად მიდის, ჩვენ არ ვიცითო. ასეთი პასუხი პოლიციის მოხელემ არ მოიწონა და უთხრა: ოქმს შევადგენ და თქვენს საქციელს შიგ მოვიხსენიებო. კიდეც დაიწყო წერა, მაგრამ არ გაათავა და თითონვე დახია ქაღალდი.

პოლიციის მოხელე თავისას ამბობდა: ძველს მამასახლისს კენჭი უნდა ჩამოუტაროთო, ხალხი თავისას გაიძახოდა, და ამაზე ასტყდა ერთი არეულობა და ყვირილი. სურამელები იძახდნენ: უკენჭოდ ვაშავებთ ძველს მამასახლისსაო. ბოლოს საქმე იმ ზომამდე მივიდა, რომ პოლიციის მოხელემ უთხრა ხალხს: ვისაც ძველი მოხელე გინდათ, მარჯვნივ მხარეს გადადითო და ვისაც ახალი—მარცხნივაო. ხალხიც გაიყო ორად და ახალის მამასახლისის მხარეს გავიდა 169 კაცი და ძველის მამასახლისის მხარეს კი —49 კაცი. ამ სახით სურამელებმა თავიდგან მოიშორეს ძველი მამასახლისი, რომელსაც მეტად ემდურებოდნენ.

*** თელეთი: ჩვენს სოფელში წრეულს მოსავალს არა უჭირდა-რა, პურიც საკმარისი მოვიდა და ქერიც. ჩვენი სოფელი აწ უკვე გარდაცვალებულს მირზოევს ეკუთვნის. იმის გარდაცვალებამდე სოფელი მოსაელის მეოთხედს იხდიდა, მას შემდეგ-კი, აგერ ხუთი-ექვსი წელიწადია, გადასახადს ფულად ვიხდით. ჯერ 300 მან. გვართმევდა წელიწადში მირზოევის ქვრივი, შემდეგ 400 მან. გაგვიხადა, ბოლოს 1,000 მან. და ეხლა-კს ესეც ეცოტავა და 1,200 მან. დაგვინიშნა. ეს ამოდენა გადასახადი ძალიან ემძიმება ჩვენს პაწია სოფელს ქვემო-თელეთს, რომელშიაც სულ ოცდაათი კომლი მცხოვრები ძლივს არის, მაგრამ მეტი რა ჩარა გვაქვს, როგორ ავიყარნეთ ეხლა მამა-პაპიდგანვე ერთს ალაგას დასახლებულნი. ჩვენს სოფელში და აგრეთვე ზემო-თელეთშიაც სულ სომხები არიან მკვიდრნი, მაგრამ სომხური თითქმის არავინ იცის, დედაკაცობა და კაცობა სულ ქართულსა ლაპარაკობს. კაცებში მხოლოდ ზოგიერთმა იცის სომხური და თათრული, ისიც სულ ორიოდემ და იმ მიზეზით, რომ მისვლა მოსვლა აქვთ სოღანლუღთანა და სომხებთათრების სხვა სოფლებთან. ჩვენის სოფლის ღარდი, დიდს გადასახადს გარდა, კიდევ ამ გადასახადის განაწილების ოსწორ-მასწორობაა, ფულს ანაწილებს მოსამართლე, ერთი წალახკურელი კაცი, და ექვსი ჩვენის სოფლისა, რომელნიც სოფლის თვალყურის სადევნებლად არიან ამორჩეულნი. გადასახადი დღიურ პურზედ სამი მანეთი მოდის, ქერზედ—ორი მანეთი და ათი შაური. ამას გარდა სოფელს გვარიანი შემოსავალი აქვს, წელიწადში სამოც-ოთხმოც თუმნამდე, და არ ვიცით-კი ეს შემოსავალი სად მიდის და ან რასა ხმარდება, ამ ფულით-კი კარგი სკოლა გაგვემართებოდა, პატრონი რომ გვყოლოდა. სასწავლებელიც რომ არ იყოს, ას ოცის თუმნის გადასახადს გაგვიადვილებდა, მაგრამ ჩვენი გლეხები უვიცნი არიან, ჩვენს სოფელში წერა-კითხვა თითქმის არავინ იცის და ამიტომ რასაც გვეტყვიან, ყველაფერი გვწამს და გვჯერა.

*** რაჭა: ეს წელიწადი მაინცა და მაინც ვერ გამოგვადგა რაჭველებს. რაჭველები სთესავენ ქერს, ფეტვს, სიმინდს, პურს და სხ. უფრო მეტს სიმინდსა და პურსა სთესენ, ხოლო პურმა ძალიან გვიმტყუნა წელს. სიმინდი გვარიანია და ვენახს-კი ნულარ მოგვაგონებთ რაჭველებს: თითქმის ყველა ვენახი ახალი მორთლული გვგონებათ, იმის ფოთოლი რომ ნახოთ. ბიბილები ნახევარზე მეტი შემჭკნარი აქვს, ასე რომ ვისაც შარშან მოუვიდა, მაგალითად, ოთხასი კასრი (კასრში შვიდი თუნგია), წელს ოთხმოციც არ მოუვა. გული ლამის გაგვისქდეს იმის დარდით, თუ სად ვიშოვნოთ საგაისოდ საჭმელი პური და დასალევი ღვინო. ფულიც რომ გვქონდეს, გასაყიდი ღვინო სად ვიშოვნოთ, ვენახი ყველგან გაფუჭებულია. ამ დარდსა და ვაი-ვაგლახს ახლა სხვაც დაემატა: ხმა გავარდა ხალხში ვიღაც ცრუპენტელასაგან, ვითომ შვიდს სამამასახლისოს კენჭით ერგოთ აფხაზეთში გადასახლება და შემოდგომამდე არ გვიმხელენო. ყველანი ერთმანეთს შესჩივიან, რა ვქნათ და რა გვეშველება, თუ გადაგვასახლესო. ბევრი ვარწმუნეთ ხალხი, რომ როგორ იქნება გადაგასახლონო, მაგრამ იგი თავისას არ იშლის.

*** მკითხველებს ეხსომებათ, რომ თებერვალში გორის სასამართლოს კანცელარიაში ი. თავზარაშვილმა ხანჯლით დასჭრა ა. შაიშმელაშვილი. ამ დღეებში ვაუწყეთ მკითხველებს გაზეთ „კავკაზიდგან“, რომ ოლქის სასამართლომ ეგ საქმე გადასდო, რადგანაც ზოგი მოწმე არ გამოცხადდაო. ეხლა-კი გორიდგან გვწერენ, რომ თავზარაშვილისა და შაიშმელაშვილის საქმე გაარჩია სასამართლომ 20—21 ამ თვისას და თავზარაშვილს მიუსაჯა ღირსების აყრა და აშტრახანის გუბერნიაში გადასახლებაო.

◆◆

## უბედურება ღვინისაგან

ამ ხუთის წლის წინად სოფ. მოხისში დატრიალდა ფრიად სამწუხარო ამბავი. ეს უბედური შემთხვევა მოხდა გლეხის ტურიაშვილის დარბაზში. საქმე აი როგორ ყოფილა: გიორგი ტურიაშვილს ჰყავდა დაქორწილებული შვილი ვანო, რომელსაც ერთი ვაჟიშვილი დარჩა. ვანომ რომ ცოლი შეირთო, მზითევში იმის ცოლს, სხვათა შორის, ერთი ძროხაც მოჰყვა. რამდენისამე ხნის შემდეგ ვანოს მამამ, გიორგიმ, გაჰყიდა თავისის რძლის. ვანოს ცოლის, ძროხა ოთხ თუმნად. ამავე დღეს გიორგიმ დიდი ურემი გააწყო, ხორბლით დატვირთა და შვილს ვანოს უბძანა, რომ ხარ-კამბეჩი შეება და წისქვილზედ წაეღო დასაფქვავად. ვანომ რომ მამის სიტყვა მოისმინა, უთხრა: „მოიტა ეგ ძროხის ფასი ოთხი თუმანი ამოიღე ჯიბიდგან, მომეცი და მერე წისქვილში წავალ და დავფქვამ პურსაო“. მამამ უპასუხა შვილს: „რად გინდა, შვილო, ეხლა რომ შენ მოგცე ეს ფულები, გავავალებ ამ ოთხს თუმანს და დედ ისარგებლოს შენის ცოლისთვისაო“.

იმათ ლაპარაკის დროს ვანოს ესტუმრა თავისი საყვარელი სვინა, რომელსაც ვანო მოსვლისავე უმალ გაუმასპინძლდა. პურის ჭამის დროს რიგიანად, ქართლურად გადაჰკრეს სვინამა და ნათლიმამამ. გიორგი, ვანუას მამა-კი ამ დროს ურემს აკეთებდა კიდევ და შვილსა და სტუმარს ყურს არ უგდებდა. ცოტა ხანს შემდეგ ვანო თავის სვინით მეზობელმა მიიპატიჟა და აქ ღვინის მაგიერად კიდევ რამდენიმე ჭიქა არაყი გადაჰკრეს და გადათუთქეს... ვანოს მამამ ურემი სრულიად გამართა, შვილს ბიჭი შეუგზავნა, რომ დაუყოვნებლივ და საჩქაროდ გამოსულიყო და საფქვავი წაეღო წისქვილში. ვანომ მამის სიტყვა სრულიად არ მიიკარა, იმიტომ-რომ დროსა და ქეიფს ატარებდა მეზობლისას. ამასობაში შუადღე დადგა. მამამ სადილი, თუ, არ ვიცი, სამხარი გამართა. ლურჯის სუფრის წინ ერთს გვერდზედ გიორგი თავის ცოლით იჯდა, რომელსაც პატარა ბავშვი, ვანოს ძმა, ეჭირა ხელში; მეორეს მხრით დედ-მამამთილის პირდაპირ მოეკეცნა იმათ რძალს, ვანოს ცოლსა, რომელსაც გაფუნჩულ-გაფუნდრუკებული ვაჟიშვილი ეჭირა ხელში და ძუძუს აწოვებდა. ამ დროს შემოვა დარბაზში დათვრალი, გალეშებული ვანო და მოესიყვარულება თავისს ბავშვს რომელიც პაწაწა ხელებს უფაჩუნებდა თავის დედას ძუძუებზე. მოესიყვარულება რა ვანო შვილს, ცოლი ხელსა ჰკრავს ქმარს და ეტყვის: «გასწი, იქით გამეცალე, შე დედ-მამის უსიამოვნოვო». ქმარი უკან დაიწევს და გაშ-

---

გზის ხიდი მართლა დაენგრიათ ქისტებს და ნახიდართან ჩამჯდარ „მალულს“ ფშაველები მოემწყვდიათ და ძალიან ეზარალებინათ. ამ შემთხვევამ ფშაველები დაარწმუნა, რომ გზაში იმათ ხატი მართლა ეცხადებოდა და წინადვე ატყობინებდა თავისს ყმათა, რა უბედურებაც მოელოდა მათ ბაზღეთის ხიდთან ღამე მისვლისგან.

კოპალას ხევის-ბერს, გვარად ჩორხაულს, რომელიც სცხოვრობდა სოფელ უძილაურთაში, შუა-ფხოს საზოგადოებაში, კოპალა გამოეცხადა იმ დროს, როდესაც კოპალას კურატს, არაგვის ქალაზედ გაშვებულს („დიდ-ქალაში“), ქარიშხალიან და ბნელა ღამეში მგლების ჯოგი მიესია და შეჭმა დაუპირა. კოპალამ ხევისბერი შეიპყრო, „გააქადაგა“ და გააქცია დიდ-ქალისაკენ, სადაც კოპალას კურატი იყო. გზაზედ ბნელა ღამეში მიმავალს ხევის-ბერს კოპალა ანთებულის სანთლის სახით გამოეცხადა, წინ მიუძღოდა და მიუნათებდა გზას იქამდის, მინამდის ხევის-ბერი დიდ-ქალას კურატთან მიიღოდა და მგლებს მოაშორებდა. გაქადაგების დროს კოპალამ ხევის-ბერს მხოლოდ შემდეგი სიტყვები ათქმევინა: „ადე წაიდეთ, ჩორხაულო, დიდ-ქალას, ჩემსა ვექვანასა (სახელია კურატისა) ველისა მხეცნი მიშინებენ“...

ხატი მოევლინება და „გააქადაგებს“ მამაკაცსაცა და დედაკაცსაც. ქადაგი ხალხის მოამბე და შუამავალია ხატთან, იგი უცხადებს ხალხს ხატის სურვილსა და მოთხოვნილებას. რაღა თქმა უნდა, რომ ისეთი კაცი, რომელიც ფშაველის სალოცავს თავის რჩეულადა ჰყავს და იმისის პირით უცხადებს ხალხს თავის სურვილს, ფშაველის თვალში უბრალო არ არის. ის ხალხის თვალში სხვა ფშაველებზე მაღლა სდგას, ხატის მახლობელი კაცია, იმას უფრო ყველაფერს უგონებს ხატი, ასე რომ, ფშაველის აზრით, ქადაგ-ხევისბერთ წყევლა და ლოცვა მოუცადია, რადგანაც ხატი იმისს სიტყვას, წყევლა იქნება, თუ ლოცვა, აასრულებს. ამისთვის ყველა ფშაველი იმასა სცდილობს, რომ „ქადაგ-მკითხავენი და „ხევის-ბერები“ მოამადლიერებულები ჰყვანდეს, არ გაარისხოს და იმათ „საწყევ-კრულოდ“ არ გახდეს. თუმცა, ფშაველის აზრით, ხატისთვის ყმათ სიმრავლე და კეთილდღეობა ძვირფასია, მაგრამ, თუ რომელიმე წევრი იმას ყმათა ხევის-ბერისა და ქადაგისგან დარისხებული იქმნა, მაშინ ხატი (თავისის სურვილის წინააღმდეგ) იძულებულია გამოიმეტოს თავისი „ოქროს ღილი“ და წყევლა აღუსრულოს... ასე ჰგონიათ ფშავებს, რომ ხატი იმათ ხევის-ბერის წყევლისაგან ვეღარ იხსნის, თუნდაც თითონ ძალიანა სურდეს, რადგან იმის თავის ხევისბერისა და ქადაგის დამცირებაც იქნება და თავის თავისაც.

ხატს რამდენიმე კაცი და დედაკაცი ჰყავს „დაჭერილი“, „დამონავებული“, მათ შორის ერთი ყველაზედ უფროსია, „თავ-ხევის-ბერი“, რომელიც აგრეთვე ქადაგიც არის. დანარჩენები-კი დაბალის ხარისხის ხევისბერები, „ქადაგები“ და „მოწმინდერები“ არიან. დედაკაცი მხოლოდ მოწმინდარი და ქადაგია, იმას ხევისბერად ხატი არ ირჩევს. ყველა მოწმინდარსა და „ქადაგ-მკითხავ“ ფშაველს თავისი საკუთარი ხატი ჰყავს, რომლისგანაც, როგორც ხალხი ამბობს, იგი „დაჭერილია“ და „დამონავებული“. ქადაგს შეუძლიან გამოიწვიოს და ჰკითხოს ყველა სალოცავს და არა მარტო იმას, რომლისგანაც ის თავისს თავს დამონავებულად სთვლის.

ხევის-ბერი, სხვა ქადაგ-მკითხავები და მოწმინდარები უნდა წმინდობდნენ, „ხელ-მხარ ნანათლები“ უნდა იყვნენ და ამ ნაირად თავ-შენახულობით ხატის სამსახურისა და მახლობლობის ღირსნი გახდნენ. მოწმინდარი, მკითხავი და ხევის ბერი არ უნდა მიეკაროს ღორისა და ქათმის ხორცს, კვერცხს, არ უნდა შევიდეს „ბოსელში“, სადაც „მებოსლე“ დედაკაცები არიან. თუ ყველა ამას წმინდად ასრულებს ხევის-ბერი და საზოგადოდ მოწმინდარი ფშაველის სალოცავისა, მაშინ ის ღირსია ხატის მსახურებისა და ხევის-ბერობისა. დედაკაცს თუმცა ხატი დაიჭერს, დაიმონავებს, აწმინდებს და აქადაგ-მკითხავებს, მაგრამ იმისი სიწმინდე მამაკაცის სიწმინდემდე მაინც ვერ მიაღწევს. იგი ფშაველის თვალში მაინც ისევ დედაკაცია, მამაკაცზედ დაბალი და ამასთან არათანასწორე უფლების მქონებელი ხატთანაც-კი. თუმცა იგი ხატისგან მოთხოვნილს სიწმინდეს მამაკაცზედ ნაკლებ მტკიცედ არ იცავს, მაგრამ ხატის კარ-მიდამოსთანა და საბძანებელთან მაინც იმდენად დაახლოვებული ვერ არის, როგორც არამოწმინდარ - ქადაგ - მკითხავი მამაკაცი. მთელი უპირატესობა მოწმინდარის დედაკაცისა, არა მოწმინდარ დედაკაცთან შედარებით, იმაში მდგომარეობს, რომ სხვა არა-მოწმინდარი დედაკაცები ღლეობაში უფრო მოშორებით იმყოფებიან, ვიდრე მოწმინდარი დედაკაცები, მაგრამ იმ სიახლოვეზედ-კი, სადაც ყველა მამაკაცები არიან, მოწმინდარს დედაკაცს ვერა გვარი სიწმინდე ვერ მიახწევინებს. მოწმინდარსა და მეტადრე ქადაგ მკითხავს დედაკაცს მეორე უპირატესობა ისა აქვს, რომ მას შეუძლიან ხალხში დაილოცოს ხევის-ბერის კილოთი, ხატის სახელი ახსენოს ლოცვის დროსა და იმის თასს ხელი შეახოს და იმით სასმელიც დალიოს. სხვა დედაკაცები ამ ღირსებას მოკლებულნი არიან და ლოცვის დროს სალოცავის სახელს იშვიათად წარმოსთქვამენ. ფშაველების საერთო სალოცავები „ფშაველთ-სალოცავად“ უნდა მოიხსენიოს, სამშობლო თემის სალოცავი მამის „სალოცავად“ და „ქმრეულთ“ თემის სალოცავი იმ ადგილის „ბატონად“, ან ანგელოზად, რა ადგილშიაც ხატის საბძანისია. ხატის სახელს არამოწმინდარი დედაკაცი უფრო მოწიწებით ახსენებს და არა ისე თამამად, როგორც მოწმინდარი დედაკაცი, მაგრამ ვერც ეს უკანასკნელი შეჰკადრებს ხატს, რომ თავისი პირდაპირი სალოცავი უწოდოს, „ჩემ სალოცავობით“ მოიხსენიოს, როგორც იხსენიებს მამაკაცი. მოწმინდარი დედაკაცი თავადაც ხომ „ბოსლობს“, მაგრამ სხვის ბოსელს ძალიან ერიდება, იმას თავისი საკუთარი ბოსელი აქვს, სადაც შესვლის ნება სხვა მებოსლე დედაკაცს არა აქვს. მოწმინდარებსა და ხევის-ბერებს ხშირად ცალკე აქვსთ ქოხი გაკეთებული და იქ განმარტოებით სცხოვრებენ. ამ სახლებში შესვლა შეუძლიან მხოლოდ მამაკაცს, მოხუცებულს დედაკაცებს და პატარა ქალებს. ბოსლობის ასაკში მყოფს დედაკაცს მოწმინდარის სახლში არ შეესვლება და არც მიეკარება სახლის ბანს. ბანს მეტადრე ფშავის ხევში ყველა წმიდად ინახავს და იქ არამც თუ მებოსლეს, ბოსლობის ასაკში მყოფს დედაკაცსაც არ გააჰქანებენ. ეს გარემოება ყველა ხევის-ბერმა იცის და ამის გამო ის უცხო სახლში არ შევა, ბანზედ ავა და იქ მიიხმობს ოჯახის წევრს. თუ ოჯახის წევრი იკისრებს ხევის-ბერის სახლში შეყვანასა და უთავდებებს თავისის სახლის სიწმინდეს, მაშინ ხევის-ბერი უარს არ ეტყვის სახლში შესვლაზედ. თუ უწმინდურს სახლში შეიყვანა ფშაველმა ხევის-ბერი, მაშინ იმას ხატი მოამიზეზებს და ვალდებულს გაჰხდის, რომ არა-წმინდა სახლში შესვლისაგან გაუწმინდურებულ ხევის-ბერს ხელ-მხარი უნათლოს, საკლავი დაუკლას. ხელ-მხრის სანათლავის რიცხვი სახლის სიწმინდის ზომებზეა დამოკიდებული. თუ მელოგინეს ახლოს როგორმე გაიარა ხევის-ბერმა, მაშინ მელოგინის ქმარმა ცხრა ცხვარი უნდა დაუკლას; მებოსლის ახლო გავლაზედ—ერთიდგან სამი. თუ ღმერთი გაუწყრა და თვით ბოსელში შესვლა შეემთხვა, მაშინ შვიდი ცხვარია ხელ-მხრის სანათლავად საჭირო. ამ ნაირი შემთხვევა ძალიან იშვიათია ფშავში. ყველა ხევის-ბერმა კარგად იცის ფშაველის სახლის მოწყობილობა, ბოსელი და მელოგინეს ალაგი, თითონვე ერიდება და პირდაპირ ბან-ჭერხოს მიაშურებს, რადგანაც დარწმუნებულია, რომ ფშაველს ბან-ჭერხო წმინდად აქვს შენახული ღვთისგან ოჯახის საშველად მოვლინებულ ანგელოზის სავალად და სახლში სტუმრად მისულ ხევის-ბერისა და მოწმინდარის სადგურად. არამც თუ მებოსლე, თვით ბოსლობის ასაკში მყოფი დედაკაციც არ მიეკარება. მებოსლე და მელოგინე დედაკაცი ხომ თვით სახლსაც არ ეკარება.

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტერებული ცოლსა და დედ-მამას უცქერის. ამ დროს მამაც მიაპყრობს თვალებს და გაჯავრებით, გულიანად ეტყვის შვილსა: «აი, შვილო, სახლი, ბოსელი და მარანი, რომელიც გინდა ამოირჩიე და შენთვის დადექი, მე შენთან დადგომა და ცხოვრება არ ძალ-მიძსო». ვანო, როგორც ვიცით, ღვინისა და არაყისაგან გალეშილი იყო. სასმელებით გაბრუებული კაცი მამის სიტყვებმა და ცოლის საყვედურმა უფრო გაარეტიანა და თითქმის გააშეცა. კაცს თითქო უცებ ღვინო გამონელდა, მაღლა ტახტზე ახტა, კედლიდან მივარდა პატყელი და მოკლე გლეხური ხანჯალი ჩამოიღო, ქარქაში ხელში დაიჭირა, მარჯვენა ხელით ხანჯალს ხან ამოიღებდა და ხან ჩააგებდა ბუდეში. ამ სურათს, ამ ნაირს შვილის ქცევას მამა კარგად ჰხედავს და დაყვავების მაგიერად შვილს ეუბნება დაცინვის კილოთი: „ბიჭო, შენი ხანჯალი არ გასჭრის, გირჩევნია, რომ ჩააგო და თავის ადგილზე ჩამოჰკიდოვო!“ ეს სიტყვა პირის ჭამის დროს მამამ, ბედისაგან ატრუებულმა გიორგიმ, რამდენჯერმე გაუმეორა შვილს. ვანო შემფოთდა, ნადირად გადაიქცა და მშვენიერმა ახალგაზდამ, ახალ დაქორწილებულმა ვაჟკაცმა ხანჯლით მამისაკენ მიიწია და შესაზარებელი საქმე ჩაიდინა. ვანომ მოუქნია ხანჯალი მამას და კისერი ერთის კანიდგან მეორე კანამდე მიაჩეხა. თავი კანით გვერდზე დაეკიდა საწყალს გიორგის, გამხეცებული შვილი ამას ვერა ჰხედავდა და კიდევ ხანჯალსა სცემდა მამას ხან აქედგან და ხან იქიდგან. ამ დროს ყველა იქ მყოფს ენა ჩაუვარდა მუცელში. როგორც იყო, ზეზე წამოვარდა ბავშვიანი გიორგის ცოლი, მივარდა გამხეცებულს შვილს, ცალის ხელით ხანჯლიანი ხელი დაუჭირა და უთხრა: „რა ჰქენი, რაზედ მოკალი ე კაციო“. გაგიჟებულს ვანოს ეჩვენა, რომ ვიღაცა მტერმა დამიჭირა მკლავიო, და გაიქნია ხელი, დედას გამოუსხლტა ხელიდგან, დაჰკრა ხანჯალი და მარცხენა ხელი მიგ მხარში მოსჭრა და გააგდებინა. საწყალს, გიორგის ცოლს, ჯავრისაგანა და შიშისაგან შეკრთომილს, სისხლი არ გამოუვიდა მოჭრილს მკლავში. როდესაც სიმწარემ ძალა დაატანა, მარჯვენა ხელიდგან ბავშვი გავარდა ძირსა და გარეთ გამოვარდნა მოინდომა. ამ დროს გამხეცებული შვილი უკან დაეწევა და ფერდში ხელ-ახლად დასჭრის დედასა და წელებს გადმოაყრევინებს. ამ უბედურების შემდეგ ვანო გასისხლიანებულ ხანჯლით ბოსელში შევარდება და გიჟივით დედა მიწაზედ დაეგდება დაღლილი.

მეზობლებმა ვაიგეს და ყველანი ამ ამბის გამო ჭკუიდგან გამოვიდნენ. დიდი და პატარა დაჭრილსა და მკლავ-ჩამოგდებულს ქალს მივარდნენ და წელების სწორება დაუწყეს. საწყალი დაჭრილი ქალი კნავილით მშველელ მეზობლებს ეუბნება და ხელით ანიშნებს: «მე თავი დამანებეთ, შედით დარბაზში, გიორგისა და ბავშვს ყური უგდეთო». ზოგიერთნი დარბაზში შევარდნენ, მაგრამ რა, იქ შველა აღარავის უნდოდა, საწყალი გიორგი იქვე გვერდით დედა-ბოძს მიჰყუდებოდა ტანით და ფეხები-კი კერასაკენ გაეჭიმა. თავ-მოჭრილი გიორგი „მოხელეებმა“ მარანში გადაიტანეს და შემდეგ დარბაზში დაჭრილი საწყალი გიორგის ცოლი შეიყვანეს... სუფრა ისევ გაშლილი იყო, ქაშანურის ჯამები, ქოთანი, ჭიქები და პურ-მარილი ისევ ელაგა და სისხლით იყო მოთხვრილი და შეღებილი. გიორგის ცოლი საღამომდე მოსულიერეს, საღამოზედ-კი, როდესაც გაიგო ქმრის სიკვდილი, ჯერ გული შეუწუხდა, მერე სამწუხარო და გარკვევის ხმით ასე იტირა: «უშენოდ მე ვეღარ ვიცოცხლებ, გიორგი, ჰოოო! უშენოდ მე აღარ ვარგივარ ამ ქვეყანაზედაო, უშენოდ მე ერთს წამს ნუ მომცეს სიცოცხლე ღმერთმაო», და სხვანი. ასე რომ ჩამოიტირა საწყალმა ქალმა, ერთი ხმა მაღლა დაიკვნესა და მკვდომარემ ზეზევე სული განუტევა. ამის შემდეგ ვანო მოსძებნეს და ნახეს მიწაში ჩაწოლილი, როგორც ღორი ბუნაგში...

რასაკვირველია, ამ ამბავმა ყველა შეაძრწუნა და შეაწუხა. გამოძიების შემდეგ გაგიჟებული ვანო დააპატიმრეს, სასამართლოში მოსამართლეებმა დამნაშავედ იცნეს ვანო და თხუთმეტი წლიწადი ციმბირი გადაუწყვიტეს... ამ ჟამად, როგორც გავიგე, ვანოს ციმბირიდგან წერილი მოუწერია ცოლისათვის და იწერება თურმე: „მე კარგადა ვარ, არ გათხოვდე, ჩქარა მოვალო“...

სააბაშიოელი

## ორი დღე კაბალზე

(დასასრული*)

მეორე დღეს მე და ჩემმა თანამოგზაურმა ჩემის თხოვნით დავათვალიერეთ კაბლის წისქვილები. აქ ხუთი წისქვილია. ყველა წისქვილში ხუთი ქვა ბრუნავს. როგორც მეწისქვილეებმა გვითხრეს, ძლიერ კარგი შემოსავალი აქვს წისქვილებს. სულ უკანასკნელი, ორმოც თუმნამდე შემოაქვს თითოეულ წისქვილსაო, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ხშირად იმოდენა საფქვავი აწყდება, რომ საფქვავის პატრონთ ორ-ორი კვირა და მეტიც უხდებათ ლოდინი. მართალიც არის, მთელს ამოდენა სიღნაღის მაზრას, მდ. იორის წისქვილებს გარდა, სხვაგან წისქვილები არსად მოიპოვება. მე ვკითხე ჩემს თანამოგზაურს, რატომ მამულის მეპატრონეები არ აკეთებენ წისქვილებს, თუ ასეთი საჭიროება არის-მეთქი. განა არავინ გააკეთებს, მაგრამ საქმე ის არის, რომ სანამ არ მორჩები მთლად წისქვილის გაკეთებას, მანამ ხმას არავინ გაგცემს! გაათავებ და მაშინ ყლაპიები წამოჩოჩდებიან, გიჩივლებენ სასამართლოში და შრომა-ხარჯს მუქთად ჩაგიტარებენ, რადგან საერთო მამულით, გარდა საკუთარ საჭიროებისა, სხვაფრივ, თუ არა მონაწილეთა თანხმობით, სარგებლობა არ შეიძლებაო. რა შორს მივდივართ, ამ სამის წლის წინად თ. ს. ვ—ემ დაიწყო წისქვილის კეთება, სამოც თუმნამდე ვალი აიღო და მაინც დაასრულა დაწყებული საქმე. როცა მოქმედება უნდა დაეწყო წისქვილს, მაშინ წამოუტიეს, უჩივლეს და წისქვილზე ხელი დაადებინეს. ეჰ! რას ამბობ! განა ცოტა რამ გაკეთდება აქ, მაგრამ რას იზამ, როცა ავი არც თავისთვის არის და სხვისაც შურს...

წისქვილებს ვათვალიერებდით, რომ წუხანდელ მასპინძლების ერთი ღრიალ-ყვირილი შემოგვესმა. ეხლა-კი დაირევნენო, მითხრა თანამოგზაურმა, უეჭველია, საბალახეს გაყოფა დაიწყეს და იმაზე წაიკინკლეთო, ცნობის-მოყვარეობა აღმეძრა და ვსთხოვე ჩემ თანამოგზაურს: გადავიდეთ იმათკენ-მეთქი. გადავედით კი, მაგრამ ახლოს არ მივედით, თორემ ჩვენც დიდ მხალიერთ შიგ ჩაგვატანენო. შორი-ახლოდგან ვუყურებდით იმათ წიოკობას... განა ენა იტყვის და კალამი გამოჰხატავს იმ ყოვლად უმსგავსის ლექსიკონით მოქარგულ სურათს? კიდევ კარგი, რომ უსისხლოდ დააბოლოვეს ატეხილი დავა... სწორედ სისხლი-ღა აკლდა, რომ იმათი ქცევა ნადირთა მოქმედებას დაჰმსგავსებოდა... ვერ ავიტანე ასეთი სანახავი და ვსთხოვე თანამოგზაურს გაგვცილებოდით ამ არე-მარეს. შევაკაზმინეთ ცხენები და კაბლის ხეობას ლაგოდეხის მხრისაკენ ჩამოვყევით... რითი დაბოლოვდა ჩვენის წუხანდელ მასპინძლების დავა, არ ვიცი. მხოლოდ თანამოგზაურმა მითხრა, რომ ეგ ვაჟბატონები ჯერ მაგ გვარად შეამკობენ ერთმანეთს, იქნება გატყლიკონ კიდეც ერთმანეთიო და შემდეგ-კი ერთადვე დასხდებიან და ქუდს ჰკრეს ახლიანო!.. ესეც ახალ დროის საქციელი! ნეტა ყველა სიმდაბლე და უმსგავსობა ასე წესიერად როგორ არის აქ დაცულ-შენახული? მაგრამ რას იზამ. „კარგი რამ გვჭირდეს გვეკვეხდეს“, ავი რა საკვირველია!..

მდ. კაბალს მრავალი პატარ-პატარა მდინარე ერთვის. მდ. კაბალი მსხალ-გორის ძირას ორად იყოფა. ერთი ნაწილი აქვე ლაგოდეხისკენ არხით არის გაყვანილი. ამ წყლით ირწყვება თითქმის მთელი კაბლის მინდვრები; კაბლის მინდვრები მეტად ნაყოფიერი მიწაა. აქ შეხვდებით ყოველ გვარ ხეხილს! შესამჩნევად კარგად ჰხარობს კაკლის ხე. აქაურმა კაკალმა მეტად ზეთიანი ნიგოზი იცის. სწორედ თავისებურად სარგებლობენ მეპატრონეები კაკლით! კაკლის დასაბერტყად მამულის პატრონები, რასაკვირველია ცალ-ცალკე იჭერენ მუშებს და ჰგზავნიან კაკლის დასაბერტყად შემდეგის პირობით: ნახევარი მომტან-დამბერტყისაა, მეორე ნახევრის ორი წილი ამკრეფისა და მესამედი, ე. ი. მთელის მოსავლის მეექვსედი მამულის პატრონისა. ეს კიდევ არაფერი, რომ დალოცვილი მამულის პატრონები ნებას არ აძლევდნენ თავიანთ ზარმაც მუშებს კაკლის ხის ძირიანად მოჭრას! იმათ თუ ეზარებათ ხეზე ასვლა და დაბღერტა, თითონ ხ. სა რა გადასახადია? მეტად გადაკაფულია ეს ადგილიც! ისე მაინც სჭრიდნენ ხეს, რომ ან კოჭად ან ფიცრად გამოდგებოდეს, მაგრამ საქმეც ის არის, რომ მომჭრელს ხის გამოყენება-კი არა, იმის ნაყოფი დარდი აქვს...

ლაგოდეხის მხრივ ერთ მამულის მეპატრონეს მშვენიერი ხეხილი გაუშენებია. საუცხოვო ხეხილს გარდა ვაზიც-კი უხარებია. როგორც თანამოგზაურმა დამარწმუნა, აქაური ღვინო კახეთის განთქმულ სოფლების ღვინოს თუ ჩამოუვარდება, თორემ სხვა სოფლების ღვინოს-კი ღირსებით არ ჩამოუვარდება. მით უფრო სახეიროა აქ ვაზის გაჩენა, რომ სეტყვა, ეს გამანადგურებელი კახეთის ვენახებისა, აქ სრულებით არ იცის. მომეწონა მართლა ეს ბაღ-ვენახი და ვკითხე თანამოგზაურს, სახელდობრ ვისია ეს მამული-მეთქი! იმან ჩაიცინა და მითხრა: ჩვენის მოძმესი, იყო მაგრამ დღეს თათრებისაა!—როგორ თუ თათრებისა?—ისე, რომ ვალში გაჯაროდ გაიყიდა და ყარაჯალის (თელავის მაზრაშია) თათრებმა შეისყიდესო. ეს-ღა აკლდა ჩვენს კახეთს! შიგ სოფლების მამულები სხვა-და-სხვა ჯურის მოსულ ხალხს ჩაუვარდეს ხელში და ამ სანაპირო მამულშია თათარი შემოპარულა. მერე ვისი წყალობით ბუნავობს და იდგამს ფესვებს ეს სიკეთე კახეთში? ჩვენდა სასირცხვილოდ, ჩვენის მოწინავე თავად-აზნაურობის მეოხება-მეცადინეობით!

ი. კახელი

*) იხ. „ივერია“ № 178.

# უცხოეთი

გერმანია და ავსტრია. ამას წინად ავსტრიის იმპერატორი გერმანიაში იყო და ამის გამო დიდი ალიაქოთი ასტეხა, როგორც ერთის სახელმწიფოს გაზეთებმა, აგრეთვე მეორესამაც. პრაგის გაზეთი Politic-ი ამბობს, რომ იმპერატორებმა ერთმანეთის ნახვით უფრო მტკიცე და მკვიდრი კავშირი შეჰკრესო. ვენელი კორრესპონდენტი მიუნხენის გაზეთ „Algemeine Zeitung“-ისა ამ ამბავს თავისის მხრითაც ასაბუთებს და ამბობს, რომ ამ იმპერატორთა ნახვას შედეგად სამხედრო დაწესებულებათა გაუმჯობესება, გაუკეთესება და მომზადება მოჰყვებაო. საქმე იმაშია, რომ ავსტრიის გაზეთები და ავსტრიის საპოლიტიკო წრეებშიაც-კი გაიძახოდნენ ვითომ გერმანიასა და ავსტრიას შორის შეკრული პირობა უზრუნველ არა ჰყოფს ავსტრიის ყოფა-მდგომარეობას, ვინიცობაა ამ სახელმწიფოს რუსეთთან მოუხდეს ომიო. მართალია, გერმანია დაპირებულია შველას, ვინიცობაა რუსეთი ავსტრი-ვენგრიის მიწა-წყალს შეესიაო, მაგრამ შეიძლება ისეთი შემთხვევაც იყოს, რომ სახელმწიფო ინტერესები დიდს საფრთხეში ჩავარდეს და ამავე დროს ავსტრი-ვენგრიის მიწა-წყლის განადგურებას კი არავინ ჰლამოდესო. გაზეთები ამ გვარ შემთხვევად, სხვათა შორის, ასახელებდნენ ბოლგარიისა, ან რუმინიის დაჭერას რუსეთის ჯარებით. ასე რომ მოხდეს, მაშინ თუმცა ავსტრიის საზღვრები ხელ-შეუხებელი იქნება, მაგრამ ავსტრია მაინც იძულებული შეიქნება წინა აღუდგეს სურვილს რუსეთისასო. გერმანია-კი მაშინ, პირობის ძალით, ვალდებული არ იქნება ავსტრიას შველა და დახმარება გაუწიოსო. ამ გვარსავე მდგომარეობაში იქნებოდა გერმანიაც, საფრანგეთი რომ ბელგიას წაეტანოს, ან შვეიცარიას, რადგან ავსტრია მაშინ უნდა ამოუდგეს მხარში გერმანიას, როცა იმის საზღვრების ხელ-შეუხებლობა იქნება საფრთხესა და საშიშროებაშიო. ამის გამო გერმანიამა და ავსტრიამ პირობის წერილი შესცვალეს იმ გვარად, რომ მოკავშირენი ერთმანეთს უნდა დაეხმარნენ არა მარტო მაშინ, როდესაც თავისი საკუთარი მიწა-წყალია საფრთხეში, არამედ მაშინაც, როცა მტერი სხვა მეზობელ სახელმწიფოს ემუქრება, ისეთს სახელმწიფოს, რომლის ხელ-შეუხებლობასაც მოკავშირეთათვის დიდი სამხედრო მნიშვნელობა აქვს. საგერი პოლიტიკაც მოკავშირეთა ისეა ეხლა შეცვლილი, რომ მოკავშირე, თუ შიში მოელის, ვალდებული აღარ არის უცადოს მტრის შემოსევას, შეუძლიან თითონვე ასტეხოს ბრძოლა, თუ მის მიერ უეცარი დაწყება ბრძოლისა ძალიან საჭირო იქმნა და გამარჯვების მხრივაც საქმე წინ წასწია. ასეთი შემთხვევანი უკვე გამოკვლეულ იქმნა და აღინიშნა უკანასკნელს ბერლინის თათბირზე, რომელზედაც დაესწრნენ გერმანიისა და ავსტრიის უწარჩინებულესნი სამხედრო მოღვაწენიო.

საფრანგეთი. XIX Siécle-ს დეპეშით აუწყებენ ლონდონიდგან, რომ ბულანჟეს, თავის მომხრეთა რჩევისამებრ, განსაკუთრებით ლაგერისა და დერულედისა, განზრახვა აქვს პარიჟში დაბრუნდეს არჩევანებამდე რამდენისამე დღით ადრეო. რადგან უმთავრესის ბრალდებულის დაბრუნებით სასამართლოს გადაწყვეტილება უქმდება და გამოძიება და გარჩევა საქმისა ხელ-ახლად უნდა დაიწყოს, ამიტომ ბულანჟეს უფლება ექნება კვლავ არჩეულ იქმნას პალატაშიო. გაზეთები ამბობენ, რომ ბულანჟეს ყველა მეგობრები იმ დღისთვის ლონდონში მოიყრიან თავს და დიდის ამბით წამოუძღვებიან თავისს მეთაურს პარიჟისკენ საგანგებო ხომალდითაო. როშფორი და დილიონი-კი ლონდონში დარჩებიანო. ზოგიერთი გაზეთები კიდევ იმას ამბობდნენ ამას წინად, რომ ბულანჟე წამოვიდა ლონდონიდგან, თავის მომხრეებით გაქეზებულს პარიჟში უნდოდა მოსვლა, მაგრამ მოაწყია თუ არა ინგლისის საზღვარს, შეეყოყმანდა, შეურთხა და უკანვე დაბრუნდა ლონდონშიო.

# წვრილი ამბები

მცირე-წლოვანს მეფეს ისპანიისას, სამის წლის ალფონს მე-XIII, ძალიან უყვარს თურმე გლეხის პაწია ბიჭებთან ჯარობანას თამაშობა.

— ედისონი 7 აგვისტოს წამდგარა მეცნიერებათა აკადემიის სხდომაზედ. როცა იმ დარბაზში გაუვლია ამ გამოჩენილს კაცს, სადაც შესანიშნავთა კაცთა ნაკვთებია, და უნახავს ამპერის ნაკვთი, უთქვამს: ძრიელ სამწუხაროა, რომ ამ ელექტრო-მაგნეტიზმის შემომქმედის ხმა არ გამიგონიაო. ედისონს აკადემიისათვის უჩუქებია ფონოგრაფი, რომელსაც იმდენი მანქანა აქვს თურმე ხმის დასამჩნევი თან დატანებული, რამდენიც ნამდვილი წევრია მეცნიერებათა აკადემიაში. ეს ახირებული საჩუქარი დიდის ტაშის ცემით მიუღიათ აკადემიაში.

— ინგლისის დედოფალს ვიქტორიას თ. ბისმარკისათვის გაუგზავნია ნიშნად თავისის პატივისცემისა თავისი სურათი, რომელიც თვით დედოფლის სიმაღლედ არის თურმე გაკეთებული.

— ჩინეთსაც შეეხო ხასრი მახვილი ცივილიზაციისა. პეკინის „მართებლობის მოამბეში“ დაბეჭდილია ერთსა და იმავე დღეს ორი მართებლობის განკარგულება. პირველი იმის შესახებ არის, რომ რკინის გზა უნდა იქმნას გაყვანილი ხანკაიდგან პეკინამდე, და მეორე ისა, რომ ვინც ამიერიდგან ახლად დაბადებულს ქალს მოჰკლავს, 60 წკეპლა დაერტყმევაო.

— ჩიკაგოში მთელი საზოგადოება შეუდგენიათ, რომელიც კისრულობს მთელს შეერთებულს შტატში ყველა დასასჯელ დამნაშავეთა დასჯას. ამ საზოგადოებას 50,000 მან. ქონება აქვს თურმე და თავის აქციონერებს კარგს მოგებასა ჰპირდება. საზოგადოებას სახელად ჰქვიან: „American Executing Company“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ერთს დიდს თაყვანის-მცემელს შექსპირისას, სერ რობერტ პელგემს, შექსპირის პატივსაცემლად გამოუცხადებია, რომ თითო თუმანს მივცემ ყველა იმ მამას, რომელიც თავისს შვილს ნათლობის დროს „ჰამლეტსა“ და ან „ლირს“ დაარქმევსო. პატარა ხანს შემდეგ პელგემთან 250 კაცი მისულა, წარუდგენიათ დაბადების მოწმობა, რომ თქვენ მიერ გამოცხადებული სახელი დავარქვით ჩვენს ყმაწვილსაო, და 2,500 მან. გადაუხდევინებიათ. მაგრამ ეს შეძლებული კაცი თავისას არ იშლის თურმე და კვლავ აცხადებს, რომ თუმანს მივცემ მშობლებს „ჰამლეტისა“ და „ლირის“ დარქმევისათვისაო.

— ნიუ-იორკში კიდევ ერთი ახალი საზოგადოება შეუდგენიათ ამერიკის მეცნიერთა, რომელთაც განზრახვა აქვსთ „სახლები და ან გოდხნები ააშენონ გარდაცვალებულთათვის“. ამ სახლებში გარდაცვალებული უნდა დასდონ წმინდა ჰაერზედ გასაშრობად. საზოგადოება გარდაცვალებულთ-კი არ დასწვავს, გააშრობს, dessication. ამ სახლშიაც იქნება ქურა, მაგრამ მხოლოდ იმისთვის, რომ ჰაერი გაწმინდოს. გარდაცვალებული ცოტ-ცოტა გაშრება ამისთანა სახლში, გახმება და თითქმის ეგვიპტის მუმიად გადაიქცევა, ასე რომ ამასთან სახე არ შეეშლება. ამის შესახებ ვაშინგტონში ბევრი იმუშავეს და ბოლოს პროფესორები რუდოლფ ვიტგაუზი და გარნეტ იმ აზრს დაადგნენ, რომ გარდაცვალებულის ამ გვარად დასაფლავება შესაძლებელი არისო. ყოველი მიცვალებული შუშის კუბოში იწვება გამშრალი და გამხმარი და ამ კუბოში ყოველ ნათესავს შეუძლიან ნახოს და დასტკბეს თავისის მიცვალებულის ცქერითაო. ყოველ კუბოდგან გაყვანილი იქნება ელექტრონის მავთული და თუ შეცდომით სალათის ძილით შეპყრობილი ჩაასვენეს კუბოში და გამოფხიზლდა და შეიძრა, ელექტრონის მავთული ზარებს აუყენებს რაწკუნს და ხალხს შეატყობინებს. ეს შენობა, თუ სახლი სამ სართულიანი იქნება და შიგ 40,000-მდე გარდაცვალებულის მოთავსება შეიძლება თურმე.

პეტერბურგის ბირჟა, 18 მარიამობ.

| | მყიდველ-ნი. მან. კ. | გამყიდველ-ნი. მან. კ. | გაყიდულ-ნი. მან. კ. |
|---|---|---|---|
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | — „ | 7 64 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | 153¼ |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | 1 10 | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — „ | — „ | 264 |
| —მეორისა . . . . . | — „ | — „ | 247¼ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | 97½ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | 97¾ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | 83½ | — „ | — „ |

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

იბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

# განცხადებანი

ისყიდება

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

ახალი წიგნი რუსულ ენაზე:

**ГРУЗИНСКІЕ ПОЭТЫ**

**въ образцахъ,**

пер. И. Ф. Тхоржевскаго.

ფასი 30 კაპ.

ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთ უმორჩილესად ვაცნობებ, რომ ამა მდგომარე 1889 წელს სენაკის სათავად-აზნაურო სასწავლებლის პირველს განყოფილებაში ოც-და-თექსმეტი ვაკანსიაა თავისუფალი. მეორეში, მესამეში და მეოთხეში მხოლოდ სამ-სამი, ოთხ-ოთხი შემთხვევითი ვაკანსია იქნება მოსალოდნელი. ვისაც ყმაწვილის მიბარება სურს ხსენებულს სასწავლებელში, თხოვნა სკოლის ინსპექტორის სახელზე უნდა შემოიტანოს 20 აგვისტოდგან 1 სექტემბრამდე და თან წარმოადგინოს შემდეგი: წლოვანების მოწმობა, მოწმობაც თავად-აზნაურობისა, ანუ ქუთაისის სააზნაურო ბანკისა გამგეობისა, რომ მოსწავლის მშობელნი ბანკის დამფუძნებელ თავად-აზნაურთაგანნიარიან. ქუთაისის გუბერნიის ყოველ მაზრის თავად-აზნაურთ უფლება აქვთ სენაკის სასწავლებელში ყმაწვილთა მობარებისა. სახელ-მეორო ეგზამენები დაიწყება 25 აგვისტოდგან და გაგრძელდება 29-მდე, სწავლა-კი 1 სექტემბერს დაიწყება.

სკოლის ინსპექტორი ს. ყიფიანი

(5—5)

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

**წიგნთ-საწყობში**

(Дворцовая ул., Караванъ-Сарай Земельн. Банка, № 102).

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ცხოვრება ღირსისა მარიამ ეგვიპტელისა, გამოცემა «სალმრთო წიგნთ-საკითხავისა» . . . . . | „ | 10 |
| თამარიანი, რაფიელ ერისთავისა . . . . . | „ | 60 |
| თორნიკე ერისთავი . . . | 1 | |
| საყმაწვილო ამბები . . . | „ | 40 |
| ნინო ორბელიანის ლექსები | „ | 40 |
| არითმეტიკა, მ. ყიფიანისა. | „ | 80 |
| სურამის ციხე . . . . | „ | 20 |
| გენათის მონასტერი, გამოც. ღამბაშიძისა . . . . . | „ | 25 |
| ფშაური ლექსები, გაზ. „ივერიის“ გამოცემა. . . . | „ | 40 |
| თამარ-ცბიერი, ისტორიული ოთხ-მოქმედებიანი დრამატიული პოემა . . . . | „ | 50 |
| მცხეთისტაძარი, გამოც. ღამბაშიძისა. . . . . . . | „ | 25 |
| კრებული არითმეტიკულ ამოცანებისა, რ. ჯაჯანაშვილისა . | „ | 40 |
| დედაკაცის ხვედრი ნამბობი გლეხ-კაცის ქალისა, თარგმანი ი. რამიშვილის მიერ . | „ | 15 |
| საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც. . . . | 3 | „ |
| ოტელო, შექსპირის ტრაგედია, ი. მაჩაბლის ნათარგმნი ინგლისურიდამ . . . | „ | 50 |
| სურათები გლეხ-კაცის ცხოვრებიდამ ეგ. გაბაშვილისა . . | „ | 10 |
| გულივერის მოგზაურობა . | „ | 50 |
| საქართველოს მეფეებზე, გულისაშვილისა . . . . | „ | 15 |
| ბუნების მოვლენანი, ს. მესტიაშვილისა . . . . . . | „ | 15 |
| ხუთი ამბავი, საყმაწვილო ამბები, ფრანგულიდამ გადმოღებული ან. თუმანიშვილის მიერ. . . . . . | „ | 15 |
| დავით აღმაშენებელი-ჯანდიერი, ა. ფურცელაძისა . . . | „ | 10 |
| საქართველოს კალენდარი, გუნიასი . . . . . . . | „ | 45 |
| ბუნების კარი, შედგენილი ი. გოგებაშვილისა . . . . . | „ | 75 |
| დედა-ენა, მისივე, . . . . | „ | 30 |
| ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა . . . . . . | „ | 50 |
| თამარიანი, გუგუნავასი . . | „ | 50 |
| ლექსიკონი, ჩუბინაშვილისა II ნაწილი . . . . . . | 3 | „ |
| რუსულ-ქართული ლექსიკონი, მისივე. . . . | 3 | 60 |
| სამ გვარი სიყვარული, აკაკისა | „ | 30 |
| ანბანი კანვაზე საკერი, გ. ტატიშვილისა . . . . . . | „ | 20 |
| გულივერის მოგზაურობა . | „ | 50 |
| მარინე, ისტორიული მოთხრობა გუნიასი . . . . . | „ | 30 |
| ვაზის ობი . . . . . . . | „ | 10 |
| ლოცვანი, ღამბაშიძისა . . | „ | 30 |
| ტიბიკონი, რ. ხუნდაძისა. . | 1 | „ |
| საახალწლო, ნ. ნიკოლაძისა. . | „ | 40 |
| ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა I ნაწ. . . . . . . | 1 | 50 |
| II ნაწ. . . . . . . | 1 | 50 |

# კოკორი

ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, იაკობ გოგებაშვილის შედგენილი, მეათე შეცვლილი გამოცემა.

დაიბეჭდა „წერა-კითხვის საზოგადოების მიერ“ და ისყიდება ამ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ტფილისში, სასახლის ქუჩაზედ, ბანკის ქარვასლაში. ფასი 10 კაპ.

ვინც ერთბაშად იყიდის არა ნაკლებ ათის ცალისა, წიგნი დაეთმობა ცხრა კაპეიკად, ვინც იყიდის ასს, ან მეტს ეგზემპლიარს, წიგნი მიეცემა რვა კაპეიკად.

ტფილისს გარეშე მყიდველთ უნდა მიჰმართონ წიგნის მაღაზიას ამ ადრესით: Въ Тифлисъ. Дворцовая улица, Караванъ-Сарай Земельнаго банка, № 102.

გამოვიდა და ისყიდება ყველა ქართულ წიგნის მაღაზიებში

## ცხოვრება ღირსისა მარიამ ეგვიპტელისა

(თვით ღირსის მარიამის სურათითურთ)

ფასი ორი შაური.

ვინც ბევრს ერთად დაიბარებს ამ წიგნს „ქართულ სალმრთო წიგნთ-საკითხავიდგან“, იმას გზის ხარჯი არ გამოერთმევა. „ქართული სალმრთო წიგნთ-საკითხავი“ იმყოფება: ბაზრის ქუჩაზედ, თამამშოვის სახლში, № 11, სადგომი № 14. ამ „წიგნთ-საკითხავში“ ყოველ გვარ სალმრთო წიგნების კითხვა შეიძლება უფასოდ ყოველ დღე, ნაშუადღევის 4 საათიდგან 9-მდე. ვინც რომელისამე წიგნის სხვაგან წაღებას მოისურვებს, გირაოდ უნდა დასტოვოს წიგნის ფასი.

მიხ. ალ. ნასიძე

ამზადებს ყმაწვილებს გიმნაზიისა, კორპუსისა, რეალურ და სამოქალაქო სასწავლებელთათვის. გარედამ მოსიარულე ყმაწვილები იხდიან თთვეში 10 მან., სახლში აყვანილნი—30 მანათს. მიხეილის ქუჩაზედ, კუკიაში, სახლი № 108

(50—32)

# დედა ენა და ბუნების კარი

ახლად დაბეჭდილნი „წერა-კითხვის საზოგადოების“ მიერ

ისყიდება

„საზოგადოების“ კანცელარიაში.

ბუნების კარი უცვლელად არის დაბეჭდილი, დედა-ენა-კი შეცვლილი და შევსებულია ახალი მოთხრობებით, ლექსებით და სურათებით. ფასი უწინდელია, ესე იგი „დედა-ენა“ ღირს ექვსი შაური (30 კაპ.), ბუნების კარი—თხუთმეტი შაური (75 კაპ.).

ვინც ერთბაშად ნაღდ ფულზე იყიდის ოც-და-ათ ცალს დედა-ენისას, თითო წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად (25 კაპ.); ვინც იყიდის ათს ცალს ბუნების კარისას ნაღდსავე ფულზე, თითო წიგნი დაეთმობა თოთხმეტ შაურად (70 კაპ.), ვინც ოც-და ათს ცალსა,—ცამეტ შაურად (65 კაპ.), ვინც ასსა და მეტსა,—სამ აბაზად (60 კაპ.).

ვისაც ჰსურს ყდაში ჩასმული წიგნი იყიდოს, თითო წიგნზე კიდევ სამი შაური უნდა დაუმატოს.

ვინც ტფილისის გარეშე წიგნს დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი თვითონ მყიდველმა უნდა იკისროს.

მყიდველებმა ამ ადრესით უნდა მოჰმართონ კანცელარიას:

**Тифлисъ. Въ канцелярію Общества грамотности, Дворцовая ул., домъ Зем. Банка, № 112.**

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# „ივერია“

1889 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფ ა ს ი:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | თთვით . . . | 10 მ.—კ. | 6 | თთვით . . . | 6 მ.—კ |
| 11 | „ . . . | 9 „ 50 „ | 5 | „ . . . . | 5 „ 25 „ |
| 10 | „ . . . | 8 „ 75 „ | 4 | „ . . . . | 4 „ 75 „ |
| 9 | „ . . . | 8 „ — „ | 3 | „ . . . . | 3 „ 50 „ |
| 8 | „ . . . | 7 „ 25 „ | 2 | „ . . . . | 2 „ 50 „ |
| 7 | „ . . . | 6 „ 50 „ | 1 | „ . . . . | 1 „ 75 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგი თთვის პირველს დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმების გარდა, პირველ საათიდამ სამს საათამდე და საღამოობით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ავჭალის ქუჩაზე, თ. გრუზინსკის სახლში.

Доз. ценз. Тифлисъ 22-го Августа 1889 года. სტამბა ე. გ. მესხისა, (Типографія Е. Г. Месх. пом. Т. Д. З. Банка. на Фрейлинской ул.). რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე